მერაბ ხმალაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1974-1977 წლებში,სწავლობდამოსკოვის ეკონომიკურ-სტატისტიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1977 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1995 წელს – სადოქტორო დისერტაცია.

1977-1990 წლებში მუშაობდა თსუ სტატისტიკის კათედრის მასწავლებლის, შემდეგ დოცენტის თანამდებობაზე,ხოლო1990-2006 წლებში,საქართველოს მეცნიერებეთა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის განყოფილების გამგედ. 2004 წელს მიიღო პროფესორის სამეცნიერო წოდება.2006 წლიდან დღემდე მუშაობს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე.

გამოქვეყნებული აქვს 100-დე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 5 სახელმძღვანელო. არის 5 საერთაშორისო და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 2 სამეცნიერო-საგრანტო პროექტის მონაწილე. სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევდა ერთ საერთაშორისო და მეცნიერებათა აკადემიის 2 გრანტს.

არის საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.